

ცისკარი.

1864

ფე ბ ე რ ვ ა ლ ი.

წელიწადი მერვე.

წოდება თხზულებათა:

- I — აგრძალა (ზამანი. დასასრული). გრ. წიგნთაგანსა.
II — 1. ნ. . . დმი. (ლექნი) თ. გრიგ. ობბულიანისა.
2. წვრილი ლექსები. თ. ალ. ჭავჭავაძისა.
3. (*). ბ.
4. თ. ანხილ ანდრეასოვი. დ. ბერიუვისა.
III — განათვისების მეორე სკუბანი. თ. რეგ. ერისთავისა.
IV — პირველი მქრცხ პოეზია კალიფო
ანაში. გ. დიდბუღაძისა.
— სხვა და სხვა ანთავი. (იხილე მეორე გვერდზედ)

ცფილისს.

ვერესელიძის ტიპოგრაფიაში.

ნ. დღი.

მნათობო თუთ შენ აღვიხსენ, რა შემაძრებინ, რასა
გჭკრძნობ?

რის გხედავ, რათა ვჭსწითლდები, რად ვჭკრთები, ვშიშობ
და ვხარობ?

მაშინ რად ენა დუმიდების, რის შენთან უბნობას ვჭსტდი
ღობ?

და რისთვის ნაჭჭლად სიტყუწათა, მხოლოდ რხუწათა
გმეტყუელობ?

მწავალჯერ ვთუტავ ან გნახო, მარამ უოკელს უამს
გქაიებ!

რის გხედავ, გულისა სანმილსა, მდუმარედ მუოფსა აღვიო
გზნებ;

მაშინ მე შმაგი უოკელოა გარე ჩემს ს:განთ გივიწეებ,
ხანა ვჭსწეუ შენთა სიტუროფეთ, და ხანგი მათვე ვაღმე-
რთებ! —

მრავალ გზის ვჭფუტავ გივიწეო და ვჭქმნატა ნება
გონების;

მარამ რის გხედავ, გონების რჩევა სრულადად ან მესმის!

გული კელმწიფობს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,
და გულის მონად შექმნილი, გონებაც შენდა მოფრინვის!

თ. გრიგ. თრბედიანი.

(თ ალ. ჭავჭავაძის ლექსებითგან.)

სიუწარულა ძალსა შენსა, ყოველი გრძნობს, აჩუკებს
წაღს
ჭსჯულისა შენსა ყველა ერის, ბერი, ერი, მეფე, უმადა.
კელმწიფე ხარ თუთ მკურთბელი, ტახტი შინა გაქვს ჭკიპბ
საცა.

გულები გეავს ქმლშეგრდომად, ამას მეტ ვჭგრძნობ და
ის . . . სხვაცა.

შენის უღვინისგან გამოსრულა, ნეტა უნდეს რადმე ვისა.
თუ შენ ხარ ვნების მიხეზი, ლხენაც შენგან გვეძლევისა? —

მეორეთ მოსრულან ვამსტავსათ, სიუწარულისა შორეობას.
რამელი უფრო ძნელია? ვჭკითხთათ გულისა თუ გონებას?
ზირველში სული ცხოველი მკრდარს გუამთან უაქმ იქცევა.
და მეორესე ცხოველს გუამს, სული თქვალ და თქვალ
ექცევა. —

მცირე სენის ეგზომ შიში, სიმხნეს ვჭგონებს არა
ჭკეანებს.

ამად გბედავ, ვჭკადრო კითხვა თუ ზასუხი არა გხადდეს.
მან რადა ჭკოს, ვის გლახ გული რადისიდგან დაგვით
ჭსწკავდეს.

და სსროცა არ უგოდეს, რომ ოდესმე დაუამდეს.

თუ ხე ბუნებით მწარია, ანგელოზს შიანბარია.
წაიღოს და ედემს დარტოს, სად სუნელების არია.
ტიგრისის წყლითა მოწყვადეს, რომ ტურფად მომდი-
ნარია.

ნაყოფი მოტყეს იხმიო, — მაინც ეგრეთვე მწარია —

ეს ტეტსლი რომ მე შეგზნების.
რად მკითხავ როდის განჭკრება?
გული შენ სანთლად გამსხუჭრზე;
მაშინ ჭკრეს რის მთლად დაღნება. —

(* *)

ას! ვითა გმეჩნის
ჭმუნვის ღრუბელი,
მაღალსა შუბლსა გამოხატული,
უმეტეს მაშინ,
ოდეს მას მონებს,
წერომით ეგ შენი სული და გული.
მეც მიეჭარს გულით,
შენსეგ დუძილით,
დღე მუდამ ტანჯვით შორიდგან მსეერა

ეარბის მოთქმით,
 იღუძალ ოსკრით
 ნელ სევდიანი ჭმუნვისა მღერა.
 კმარა! მწუსარე,
 ვითა მოვარე,
 ეკ სასე ტურფა გამოძიდარე,
 რომ შენის ღიძით.
 ტრფობისა შუქით,
 ეგებ განვერთო სევდიან გულით;
 და ჩემს თარს შმაგად
 მოსალხენელად
 შეესოს კელი მოუთმენელი,
 და გაბედვითა
 წარმოსთქუან სიმთა
 დაუვიწარი შენი საკელი! . . .

თ. აჩილ ანდრონიკოვსე.

(დილის კმაზე.)

ნეტა რა იყო ეს განსაცდელი—
ჩუქნის გულის ერთობ მომწეველი,
ბწყვეთ შენ სიკუდილო რქ! უღმობელო,
შეუბრალებლო დამამხობელო!

რათ შაიშურე ჩუქთვს ის შენა,
რათ მოგვამო რე აჩილი ჩუქნა!
ახალი ნოჩი აჩ შეიბრალებ,
რად იმისთვის შენ მოიცალე?

უცხო ჩუქნას, უცხო ადგილს,
ჭაჭით სხუასა და უდაბურსა,
შენ ის მიგუტაცე აღარ გვანჩუნე
უსიტყვ უსულ შინ მოგვისვენე.

ველას განსაკეთ შენ სუჭარელსა,
ველარ მოვისმენთ შენსა ალერსსა,
შენ მშუქნიერო ვით სავსე მთუარე,
რათ გვიღალატე, სად მიგვეთარე?

რას განგიცდიდით საშუალ ჩუქნსა,
მივეტემოდით რადაც იმედსა,
ერთგვარ ვთქმობდით ყოველი სული,
რამ შენში იყო კეთილი გული.

აჩილ გიუჭარდა შენ სახლში გრება,
ვინცა გიწნობდა აქ შეიუტება,
ვაჟგანნი შენნი ქიზიუელები,

შენნი ერთგულნი, შენი მტველები —
 აი გზებიან შენს სანსახვათ
 მათ შეუტყუათ რომა ხარ ვგათ,
 მარამ რის განახეს გუბოში შენა,
 დაიწყეს მწარეთ ცრემლისა დენა.
 თავში იცემენ იმედ მიხდილნი,
 შენნი ერთგულნი ვით შენნი შჯლნი,
 გუბოს ჰგონიან გესაღმებიან
 და დაღრმძინი დაბრუნდებიან!
 შავით მოსილნი: კატი და ქაღი,
 ემა, ემის ცოლები ვეველს აქ ანი.
 იცემენ მკერდსა თავს დაგტირნიან —
 შენს დამიწებას ცას შსხივიან.
 შენ ვით შეგჭამოს შავმა მიწამა?
 და დაგტქერდეს მოხუცი მამა,
 იყავ გაყატი და თავ შამწონე,
 მას წყუელს სიკუდილს ვით დაემონე?
 აღარ მამეცა არსით ღსენს,
 აწ გესაღმები მამავ მე შენა,
 ცოლსა, შჯლებსა შენ ჩაგაბარებ,
 ჩემს მაგიერათ მათ შაიყვარებ.
 მამავ მე იმით შენ გამსახარე,
 რომ სული კელში შენ ჩაგაბარე,
 სამშობლო მიწას რის მამასკენე
 ბოლოს მკუდარსაცა მასიამოგენე.
 მარამ საუდარში რის მიმსკენონს,
 და შავს მიწაში რომ ჩამსკენონს,

შენ ნუ მიუუტებ მე იმა ჟამსა
შენ ვერ გაუძლებ ამის ნახვასა.

ოჰ! დამენანა ჩემი სხსლგაძრი,
შენი აჩხილი მამავ! ანს მკუდაჩი?
ჩემს ბაღონს ქუჭშა, რა გამატარეს,
მეორეს დღესვე მიწა მავარეს.

ანა მატეს ეჭვი მამავ მე შენი,
იქმნები დიდსულ შენა სარ ბრძენი,
მარტო არ შესუდი შენ ამ მაგალითს—
მრავალი სხუაცა აგრე შენებრ სტირს.

მამაცობაში ვით მე გამსწავლე,
ჩემს უჯლებსაცა ისივ ასწავლე,
მე დიდს ომებში გესმარებოდი,
ზაბბახნის წინა შენთან ვჭმობოდი.

დეე იმათაც სიმხნესა სდიონ,
ძლიერს მეფესა თავი შასწიონ,
გაყვაცობაში ჭსჯობს დაინტენენ,
თუ ქალაჩუნათ ცოცხალნი დაშთენენ.

იქმნება მოგეტ ოდესმე წეენა,
ან გევედრები შეძინდე შენა,
უკანასკნელი ანს ჩემი თხუკა.
მამავ აჩხილი გამოგუთხუკა.

ძმანო და მცნობნო მოძიგონებდეთ,
და თქუწნს კრებაში კელავ მანსენებდეთ,
ჩემი სოლომან თუ ოდეს ჭნახოთ
გოხოვოთ საფლავშია მეც ჩამომძახოთ!!

დომ. ბერეკვი.

ნოემბრის 25 დღეს, 1865 წელსა.

ს. ქოდაჯა.

გრანოვსკის მეორე საუბარი. ()

დიდი ალექსანდრე.

მის ბრწინვას გრიგოლ დიმიტრისძეს თავადს
აძბეღანს.

ვინც რომა ნახავს ბურთუნაის შიას,
თერენგულის ხევს, იბრემ--დადას;
ის დაათასებს შენს ჭკუიანს თავს,
შენს ჭემპარიტს ღვაწლს რაც შეგვიწიწავს!
ლეკთა მამულსა დაღისტნის შთებსა,
ორბებ გარეშე შედა დაჭქროდი,
და შეუზოვრათ, მხნე პურუღებსა
ერთის შესედვით შეამწწუნებდი.

მტერს გაუტევდი, დაუქროლებდი

(*) ზიჩკელი საუბარი, ანუ ლექცია, ამ წარმინებულის
რუსეთის პრეზიდენტისა, წარმოთქმული მოსკოვის უ-
ნივერსიტეტში, წოდებით ღანგათემური, ანის დაბეჭ-
დილი «ცისკრის» შექვესე წიგნში, 1858 წელს.

შავარდენსაჲთ, გულს გაუხუთქდი;
 მუნ განაკებდი და ბრძანებლობდი,
 სამოქალაქოდ ხალხს ამზადებდი.

იქ ვაჟკაცობდი ივერულათა,
 აქ გამკეობდო ევროპულათა--
 მეცნიერებით, შენებრ ბრძნულათა
 ქართველთა გვევანდო დღეგრძელ სრულათა.

შენ შემოგწირავ მცირეს ჩემს შრომას,
 ფერმკრთლად ნათარგმნსა გრანოვსკის თხ-
 რობას;

მე ესე ვჭბოვე შენ შესადარად,
 კიბღვნი ერთგული მარადის შეარად.

თ. რევაზ შალვას-მე ერის-თავი.

წინანდელი ჩემი საუბარი შევჭვწირე ლანგ-თემურის ხასიათის-გამომეტყველებას (*Характеристика*); ჩუენ ვნახეთ სისხლიანი კვალი მონღოლთ ცხენებისაგან დატევილი და სსუა სასსოვარი ვერა ვჭვოჯეთრა, რომლითაც აღმოჩნდებოდეს მტკიცე მულობელობა ლანგ-თემურისა მისგან ბრძოლით დაპრობილს ქუენებზედ. დღეს შე შექება ზატვი ვისაუბროთ ქუენთან დასავლეთელს დამპრობელს ალექსანდრე ბაკგონელზედ. ისტორიაში შეტად ცოტა სახელებს ვჭვოებთ, რომელთანაცა შეერთდებოდნენ ამოდენნი დიდებანი და გოდენიცა ვერებანი, რომდენიცა არიან ალექსანდრეზედ. თქუენ შეტუობილი გაქუსთ, მას ბეცობა-რობაშიაც იყო იმ დროს საბერძნეთი, რომდესაც ალექსანდრე წარმოსდგა საისტორიო ასპარესზედ. ის დრო იყო საბერძნეთის სამოქალაქო ცსოვრების დარღვევისა, დრო რესპუბლიკურთა მმართველობათა შეცვლისა ერთ მთავრულითა. მაშინდელი

საბერძნეთი, რომლის მხრიდანაც უნდა გა-
 ვჩნდებოდით, ეოველებს შევნიშნავთ, აჭრელებ-
 ბულთ სსჭა და სსჭა სასხედ გამოცხადებათ
 ქქტმ, ერთსა და იმავე საფუძველთ დაცუ-
 მას საბერძნეთის დამკველებულის სამოქალა-
 ქოსას. ზელოზონების ბრძოლამ ბოლო მო-
 უღო, გაბრწყინებულს ისტორიაში მეტად
 აღარ გამოერებულს, საბერძნეთის ცხოვრე-
 ბის აჭკვაგებულს მდგომარეობას. დორიზ-
 მისა და იონიზმის ბრძოლაში დაირღვა
 საგანგებო თანასწორება იმა კავშირთა,
 რომელთაგანაც იყო შემდგარი ცხოვრება
 იგოი შეიმუხრნენ ძალანი, მიწასთან გას-
 წორდნენ უმჯობესნი საკუთრებანი იმ რეს-
 პუბლიკათა, რომელთაც მინამდის სამართ-
 ლიანათ ეპეროთ ზირველი აღბუი დანარ-
 ჩენს საბერძნეთში. სპარტამ თავის სამხედ-
 რის წარჩინებას ანაცვალა შინაური ძალა
 და გამართულობა. იმას შეჩნა მსოფლოდ
 დიდება სამხედრო სიმხნეთა, წინანდელს
 ცხოვრების სიმარტივესკი მოაკლდა საუ-
 კუნოდ. ანგარება და ზირვერობა გარდაქ-

ცათ განსხვავებულს თვსებათ სწარტის მო-
 ქალაქეთ, რომელთაც მხოლოდ თავიანთის
 თავის შემატებისათვს სავაჭროდ გახადეს
 მრთელის საბერძნეთის ჰატივი და სარგე-
 ბლობა. უფრო ნათელის ჰირით ვჭსედავთ
 ჩუჭნ, ისტორიაში ათინელთ; მაგრამ IV მე-
 ოთხე საუკუნის ათინელთაც აგრე რიგათ
 არ უნდა მოვსოვოთ ის სიმსნე, რომე-
 ლიც ეკუთვნის მარაჭონის შთამომავლო-
 ბათ, ანუ ჰერეკლის მედროის დემოსის ჩი-
 ნებულთ თვსებათ. განა ჭიველებზედაც
 საჭიროა ვჭსთქუათ რამე, რომელთა ანაზ-
 დეული ამაღლება უკუთვნისთ ორს დიდს
 კაცს და, რომელთაც თან ჩაიტანეს საფ-
 ლავში თავიანთი შეუსრულებელნი დაწყო-
 ბილებანი? მნელათვი აღუსრულდებოდა ეპა-
 მინონს თავისაგან გამრახული საპოლიტი-
 კო ცვლილება საბერძნეთისა; მაგრამ იმი-
 თი თავის გაუკებრად და უნებლიეთ შე-
 რეია უიმისათაც დაფუძნებულნი დაწყო-
 ბილებანი ძველის სამოქალაქოს და სარ-
 წმუნოე ბათ ცხოვრებისანი. ერთის სიტყვიით

დაცემა სამოქალაქოს ცხოვრებისა და რეს-
პუბლიკურთა სახეთა ცნადად ჭსნანდა. მაგ-
წამ რით შეიცვლებოდნენ ისინი? სსუა
წოგოწი სიცოცხლე აღეკვნებოდა იმ ნა-
ნგრევებსედ, რომელთაც ჯერ კიდევ ეტეო-
ბოდათ რომელიმე ნაწილი თავიანთის ჰირ-
ვანდელის მღვდოძარეობის ლაზათისა? ამ კითხ-
ვების ჰასუსს ამზადებდა ახალი სამეფო, მღება-
რე გარეშე ნამდვილის საბერძნეთის სამ-
ღვრისა, ჩრდილოეთსედ, რომელთანაც მუ-
იდროდ იუვენენ შეერთებულნი ნათესაობის
კავშირით და განათლებითა, რომელსაც მი-
იღებდნენ მაკედონელთ უმაღლესი სასო-
გადოება საბერძნეთიდან. მაკედონის კელ-
წიფები დიდისხნიდამ მონაწილენი იუვენენ
საბერძნეთის რესპუბლიკების საქმებში, ამ-
გვარი მონაწილეობა აწათუ ჰატვიცის მოყო-
ვარეობის ანგარიშებით მოსდიოდათ, ამ
კელმწიფებს, არც სსუა წადმე საიმედო
განზრახვავებით, გარდა ამისა რომ იმათ
სუწდათ შემწედ ჰეოლოდნენ გაჭირებაში და
ამისთვის ეოვეჯდ დროს დამოკიდებუ-

ლება ქქონდათ ათინასა, სპარტასა და ჭი-
 ველებთანაცა. ესეთმა დამოკიდებულთაბ
 ბერძნებსა და მაკედონელებში ვასწია ფი-
 ლიპედის. *Священная война*, ამ ბრძოლაში,
 რომელიც იყო მაშინ ატეხილი საბერძნე-
 თში თავიანთის წმინდა ადგილისგამო, შე-
 აძლებინა ფილიპეს, რათა გარეულიყო სა-
 ბერძნეთის რესპუბლიკების აღწეულებაში,
 არათუ თავის წინა მოადგილებსავით უბ-
 რალო დამსავებულათ, არამედ თითქმის
 იმათს მოსამართლედ. შემდეგ რაოდენთაძე
 წელთა ხორონეის ბრძოლაში მოუსწო უკა-
 ნასკნელნი იმედნი იმათაცა ვისაც ვიდევ
 სწამდათ, რომ აღსდგებოდნენ უწინდელნი
 წესდებულებანი. ჭსხანს, ფილიპე უბრალო
 მოთავედ არ იყო აღმორჩეული მეერთებუ-
 ლის საბერძნეთისაგან?

შემოთვე მოკასსენეთ, როგორც დაირ-
 ღვა ეოველი ნაწილი საბერძნეთის სამო-
 ქალაქო ცხოვრებისა. ის არათუ მარტო
 საპოლიტიკოს, სასულიეროს სჭერაძიაცვი
 ჭსხანდა. არისტოტელიდა იყო უპირატესი

და უკანასკნელივე დადგომილი მოსაქმე საბერძნეთის ჰესწავლისა. კელოვნება რომ უფრო აღრე შედგა IV მეოთხე საუკუნის დასრულების დროს, საბერძნეთის განათლებაში თავისი უვაგილი და ნაყოფი ერთად გამოიტანა. განათლება ჯერ კიდევ ბრწყინავდა გასაოცარის საუკეთესო ჭობებთა სიმდიდრითა და უაღრესითა იდეებითა, მაგრამ იმისი ორღანიული გაშლილობაკი- (*Razsumie*) შესრულდა და აღარ შეიძლებოდა მოლოდინი იმისაგან შემდგომის მოზარდობისა. ის განათლება უნდა გადასულიყო სსუბთ ტომებთან და გარედამ მიეღო, ახალთ იმის უცხოთ სტისიონი დაასლოვებით, თესლნი ახალის გაშლილობისათვის. ამ თქმით ესკი არ უნდა გავიფიქროთ, რომ იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვსჩსრეკთ, ბერძენთათვის საჭირო არ ეოფილიეოს საქმიანობა, არა, იმათ დიდათ სურდათ მოღვაწეობა, მაგრამ იმას ვერათი აკმაყოფილებდნენ. IV მეოთხე საუკუნის მთამომავლობათ ვიწროდ ეჩვენებოდათ ის

ასწარესი, რომელსედაც იმთნი წინაპარნი
 აღსრულებდნენ თავიანთ უკუდავთა ღვაწლთა.
 უძრავი მოქალაქური ცხოვრება ველართი
 მიიხიდავდა უურად-ღებასა ზატოვის მოეჭარის
 მოქალაქისასა. საკუთარნი საგანნი თუთე-
 ულთა მათგანთა გარდაემატებოდნენ სასო-
 მით ძალათა და ღონის-ძიებათა დასუსტე-
 ბულთ რესპუბლიკათასა. ამ გვართ საქმეთ
 მომდინარეობისგამო იყო სრული დაცემა
 ადგილობრივის მამულის მოეჭარეობისა,
 ამისთვის ცდილობდნენ, რომ აღმოეჩინათ
 სამშობლოს სამძღუართ გარეშე ღირსი ას-
 წარესი შემდგართა და უქმთა ძალათათვის.
 ესრეთს საასწარესოთ მარტო აღმოსავლეთს
 შეეძლო მსახურებოდა, სახელდობრ სწარსე-
 თსა, სადაცა რქესუთე საუკუნის დასასრულიდამ
 დაღვრომილად აღსრულებდნენ უმთავრესთა
 თანამდებობათა ბერძენნი--მოჯამაგირენი. ამ
 საქირავებულთ ჯართ-წეობაში იძუათად არ
 იდგნენ სოლმე უმჯობესნი კაცნი ათინისა
 და სწარტისანი, შინაურს მცირე საქმეებზედ
 ჩხუბებით მობესრებულნი, რომელთსედაც მო-

ცლილი იყო მაშინ იმათი სამშობლო. და
 აი, იმათ თან-მოიტანეს ძორის მკვლელობა-
 ბიდაძე, რომელიც იუქნენ საბრძოლველად
 დიდის მეფის შუაგულს სამფლობელოებში,
 ის შესაძლებელი აზრი იმ საკელმწიფოს
 დაწყობისა, რომელიც შეიცავს მრთელის
 აზრის შესაძენს. ეს აზრი გარდიცა ჯარის
 კაცთაგან საკელმწიფოს დიდებულთ და სა-
 ბერძნეთის მწერალთაგან. იმასთანა მხელი
 აღსასრულებელი საქმე. იმისი შემართება
 დიდთა ჭკუთა და უკეთილშობილესთა გუ-
 ლთა ეურადლების დირსი იყო. ეს საქმე
 უნდა მომხდარიყო არათუ მხოლოდ დიდ-
 ებისა და ნამოწრობისათვის, არამედ--საბე-
 რძნეთის ადგილობრივთ მომაკუდავთ სახა-
 ლიტეო საზღვებლობათ აღდგენისა და შე-
 ცვლისათვის ერთის რითმე სასოგადო ელ-
 ნებრივითა. მოჯამაგირეთ მოთხოვნანი და
 გამომჩენილთ მწერალთ თსულებანი მავალ-
 ისოკრატისა; თანასწორ მოქმედებდნენ სა-
 ზოგადობის აზრსედ და ამხადებდნენ შე-
 მართებისათვის, რომელიც წლითი-წლად ებ-

ვენებოდათ ანათე მარტო შესაძლებელად, თითქმის საჭიროთაც. იმ ნაკლეჯ, ნაკლეჯთ, შინაგანის უძღურების დროს, შეერთებულს საბერძნეთს კელქეშმ ქქონდა უდიდესი ღონის-ძიებანი შედ მისასწულელის ბრძოლისათვის. ტენარის კლდის-ცხვირთან, და სსუთ ამ გვართავე შესაკრებთ ადგილებში, ათასობით აქირავებდნენ ბერძენი თავიანთს სიბრძნეს და სამსედრო საქმის ცოდნას, მსურველს ვაჭარს. როდესაც ფილიპე დასდგა საბერძნეთის მოთავვედ და სხარსეთს გამოუსხადა ბრძოლა, ის ეკონათ არ მიხდევდა თავის საკუთარს ჰატევის მოყვარეობითს სურვილს, რამოდენათაც სასოგადოს აზრის მოთხოვილებას, როგორც ვხედავთ იმას წილად-სუდა ეოფილიეო მარტო აღმასრულებელად, დიდისნის მოფიქრებულის და ძალათაც გამოთქმულის ხალხის აზრისა. ამ აზრის განამართლებლათ, ჰირველათ საცდელი ბრძოლა იეო აღესილას-საგან მცირე აზიამი. ფილიპე კარდაიცვალა **556** წელში იმ დიდის შემართების-

თვს მსადებაში. იმისი ადგილი დაიჭირა
 მეძან მისძან ალექსანდრემ. ამისთანას ტუღს
 გარემოებაებში მეფობის დაწეება დიას სა-
 ძნელო იყო. მრთელი საბერძნეთი შეკრთა
 ფილიპეს სიკუდილის გაცონებასედ. ასე გა-
 შინჯეთ დემოსტენმა ახლად გარდაცვალებ-
 ულის თავისის ქალის სიკუდილიცკი და-
 ივიწეა, საგლოველი დაადო და ევაგილე-
 ბით დაგვირგვინებული გამოვიდა მოედან-
 ზედ, რომ აცნობოს ათინელთ მაკედონიის
 მეფის სიკუდილი. საბერძნეთი თავიდან ბო-
 ლომდის აღიჭურა, წინანდელის ცხოვრების-
 სასეთ დაბრუნების იმედებით მიტაცებული.
 ფილიპე მოკუდა შეთქმულობის მიხესით.
 ცნობილი არ არის ვინ იყო მოთავე ამ
 შეთქმულობისა, ესკი ვიცით, რომ მონაწი-
 ლენი იეჟენ თვთ ალექსანდრეს დედა ო-
 ლიძია, მაკედონიის დიდებულნი და სპარ-
 სეთის სასახლე. ეს საქმე მოასდინეს მე-
 ფის გვარეულობის შეცვლისათვს, შემთქმე-
 ლნი იეჟენ დიას უძლიერესნი, ერთი უ-
 ზირველესთაგანი ატტალ ძლიერის ჯარსი

უფროსი იყო, რომელიც იღვა მცირე აზი-
 აში. ჩრდილოეთისა დადასავლეთის მხარე-
 ზედ აღსდგენენ ახალნი მტერნი თითქმის
 გაგარეულებულნი სალხნი ძრაკიელნი და
 ილლირიელნი, სურდათ ესარგებლათ მეფის
 სიუმაწვლითა, ეოველ მხარეს თვალეური
 უნდა სჭეროდა აღექსანდრეს, ეოვლის გა-
 ნსაცდელისათვის წინააღმდეგნი ღონის-მიე-
 ბანი უნდა მოეპოებინა, და იმან ეს ღო-
 ნის-მიებაები სულ თავის თავში იპოვა.
 წინდა წინ ძრაკიას მიძარტა. ოცის წლის
 სარდალმა გასაოცარი მკსაჯრობა შეასრუ-
 ლა: გაიარა ბალკანის სეობაში, დუნაის
 გავიდა, დაამარცხა გეტნი მეორეს ნაპირს
 და აიძულა ძრაკიელნი, რომ მიეცათ მი-
 სთვის, მხეველის მსგავსად იმისთანა ჯარი,
 რომელთაც შესძლებოდათ სასარგებლო სა-
 მსახური სპარსეთთან ბრძოლის დროს. უკან
 დაბრუნებაზედ დაამარცხა ილლირიელნი და
 იმთაც გამოართო სარჯათ იმისთანავე ჯა-
 რი; გაამლიერა თავის ლაშქარი ბრძოლაში,
 დაკელოვნებული უცხო ტომთაგან.

მაინც კიდევ საბერძნეთში აღრეულება განმკლიერდა. ჭიველები ცხადად აღზდგენენ და გამოეაჩნეს იმათს ქალაქში მდგომნი შაკედონელთ მეციხოვნენი; ათინელნი აღიჭურნენ, ზელოპონესის მცხოვრებნი იმათს მისაშველებლათ მიეპურებოდნენ. არავის არა სჯეროდა, რომ ბედნიერად დასრულებულიყო ალექსანდრეს ჯარისკაცთა ჭრაკიელებთან. ამასობაში ალექსანდრემ ვაიარა ჰინდის შეუალნი სეობაები და ანაზდეულად გამოჩნდა ჭივის კედლებთან. ქალაქი დაემხო; მუნ მცხოვრებნი დაისაჯნენ ლაღატისა და უსარგებლოს წინააღმდეგობისაოჯს, ზოგნი სიკუდილით და ზოგნი მონებად დაეიდვით. ალექსანდრემ ისე მკაცრად იძისთვს დასაჯა ჭიველნი, რომ ეწითის მსრით უნდა აღესრულებინა ვიოტიელების თხოვნა, რომელნიც ესმარებოდნენ ალექსანდრეს და რომელთაც დიდი სიძულვილი ჰქონდათ ჭიველებისა, მეორით იმას სურდა იმისთანა მაგალითით შიში მიეცა დანარჩენთ ბერძენთათვის და მიეღო იმათთვის სურვი-

ლი ამ გვარის ღალატისა ამ წინამდებარის
ბრძოლის დროს სწარსეთთან, იმის დასა-
მტკიცებლად, რომ დარღვეულის ქალაქის
უბედურება საწუხარათა ჭქონდა ალექსანდრეს
გულს, შეუძლიან მსახურთს იმ ჭიველე-
ბის ისე სიმძვდით მოხერხებამ, რომე-
ლნიც ებრძოდნენ ალექსანდრეს სწარსელ-
ებთან შეერთებულნი და ტყვეთ ჩაცვივდნენ.
ჭივის ქალაქის დამსობამ შეამძწუნა აღ-
ჭურვილი საბერძნეთი და გაუგრილა თავი-
სუფლების სურვილი. მაშინ დემოსტენის მა-
ღალი ხმაც ჩასწედა, ერთის იმ წინააღ-
მდეგისა, რომელიც შესამძებელია საძიძო
ეოფილიყო ალექსანდრესთვის. დემოსტენი
ეკუთვნოდა იმ მწუსარეთ პირთ რიცხუს,
რომელიც განსაკუთრებთა ჭსდგანან ისტო-
რიაში, რომელთმაც მსურვალე სიეწარული
წარსულთ წესდებულებათა ცხადათ უფლებს
მათხედ და ერთდება იმ დაჯერებასთანაც,
რომ შეუძლებელიაა წინანდელის ცხოვრე-
ბის კელახლათ დაბრუნება. მაგრამ დემოს-
ტენსა სურდა შეემაგრებინა იმ წინანდელის

ცხოვრებისა და სამოქალაქო წესდებულების სასეთ ნაწილნი მაინც, რომელთშიაც სწინდნენ სიცოცხლის ნიძნები, და ამისგამო დაულალავათ ებრძოდა ფილიპეს, რომელსაც უსაფუძვლოდ არა ჰგონებდა, საბერძნეთის ქუჭრენის უსაძინელესს მტერათ. ჭიკველნი იძლივინენ, დემოსტენმაც კელი ზილო უიმედოს ბაასხედ. ის მისჯდა, რომ ფილიპესაგან დაწესებული საქმე უფრო მტკიცეთ და უძლეველთ კელთ ჩაუვარდა. მართლათაც, მოპირდაპირეთ ვის დაუეენებდა საბერძნეთი ოცდა ორის წლის სარდალს, რომელზედაც ბუნებას და სვეს უხუად მიეკლინათ თავიანთი ნიჭნი. იმას გარეგანი მძუჭნიერებაც კი ჰქონდა მინიჭებული, რომელიც დიანს ძლიერად მოქმედებს ხალხსხედ. ქალური სილამაზე იმისის ჰიჭის სასისა ზოგჯერ ისეთს მრისხანე გამოხატულებათ შეიცულებოდა, რომელიც მოაკონებდა განრისხებულსა--ზევისსა. კასანდრი ალექსანდრეს სიკუჭდილს შემდეგაც დიდხანს ვერ ივიწებდა იმ გამოხატულებას, და თითონ

მეფედ მეოფი, შემრწუნდებოდა სოლმე თავისის დიდის წინა მოადგილის სტატუის დანახვასკედ. თქვენ, დიასაც გეცოდინებათ რა აღსრდაც მისცა ფილიპემ თავის ძულსა. არისტოტელმა გარდასცა თავის მოწაფეს სრული სიმდიდრე იმ იდეებისა, რაც კი მინამდის იუვნენ საბერძნეთის სწავლისაგან შემინებულნი. შეიძლება განუგრცელებლათ ჭვსთქუათ, რომ მოწაფე ბევრში გარდაემატა თავის მოძღუარს. საბერძნეთი, რომელიც ჰირველში ისე უსიაძოვნათ მიიღებდა ალექსანდრეს მაკედონის ტასტსედ ასვლის ანბავსა, ძალე მაიზიდა იმისმა სასემ და შეეპჭუაღა ისე იის აღტაცებით, რომელიც მარადის მოსასსენებელია იმის სიჭაბუკის ისტორიაში. განა შეეძლოთ ათინელთ დიდსანს წინააღმდეგობა ეაულის სიკეთით შემკულის ჭაბუკისა, რომელშიაც განცსოვლებულიუვნენ უწარჩინებულესნი მსარენი ბერძენთ გონიერებისა და თვსებისანი? ვინ მესსრულებდა თუ არ ის, ჰოეტიურსა ღვაწლსა ღომერის გმირთაგან დაწვებულსა,

რომელთაც ისე გასაოცრათ ემსგავსებოდა. მრავალნი ისტორიკოსნი შემდგომს ბრალსა ჭსდებენ ალექსანდრეს. ისინი ამბობენ, რომ ვითომც იმან დაიწყო თავისის განძრავის შემართება, როგორათაც შემთხვევის შეძიებელმა, იმან არ იფიქრა უსრუნველად თავის უკან დაბრუნებაზედ, და ბედსა სცდიდა როგორათაც თავზედ--გელაღებული მოთამაშე, და არა ისე, როგორც მკენის ნამდვილს დიდს-კაცსა. ამასედ მასუხის მიცემა დიას ადვილია. ალექსანდრე იმავე უმაწვლობაში გატყწრად არ უკდებდა ეურს სპარსეთზედ მოთხრობაებს; ის ამართ არ გამოიკითხავდა სიჭაბუკეშიაც სპარსეთის ელჩთაგან იმათის მეფის ძალასა, გზებსა იმის ქალაქთადმი მიმკვანთა, სსტა და სსტა სალსთათჳს იმის საკელმწიფოს შემადგენელთა. ეპირებოდა რა საბრძოლველად წასვლასა, ალექსანდრემ დაწერილებით იცოდა ღონის-ძიებანი რაცეი კელქტებ ქონდა თავის მოპირდაპირეს, და ამ საფუძველზედ შეადგინა თავისი ასრი შემ-

დგომთ მოქმედებათათვის. თუ რომ საკელმწიფოს შემძლებლობა განისომებოდეს ფარსანგთა რიცხუთა, რომელიც შეიცავს მათ, და მსახლობელთა რაოდენობითა, მაშინ სწარსეთთან ბრძოლა დიასაც უმეცრებად უნდა შერაცხილიყო; მაგრამ ალექსანდრეს სსტა გვართ ესმოდა საკელმწიფო და მისი შემძლება, იმან იცოდა, რომ გარეგანთ ძალთ გარდა საკელმწიფოში უნდა სსტანიც იპოებოდნენ--სნეობითნი, რომელნიც საჭიროა, რომ გადაეჭარბებოდნენ გარეგანთა ძალთა. დიდ ხალხთ ბრძოლის დროს კარგათ იცოდა, რომ სწარსეთის საკელმწიფო შემდგარი სსტა და სსტათა ხალხთაგან, ისევ ძალე გაცალცალკევდებოდნენ თავთავის ნაწილებათ, და ესეც, რომ ძრავალთ სამთავროებში დაწესებულიყო კიდევ შემკვიდრობითი მულობელობა. თუთვეული სატწაწი რაცსდა თავის თავს თუთმპურობელს მმართველად მისდა რწმუნებულის სამფლობელოსას და ცოტათღა სრუნავდა მრთელის საკელმწიფოს სარგებლობისათვის. ახალთა

აღრეულებათა უმეტესად დაუსუსტეს ძალა
 მეფესა, რომლის სიმტკიცესედაც იყო და-
 მოკიდებული შემდგომი სვე სპარსეთისა.
 ამას გარდა ესკი უნდა ვსთქვათ, რომ ნი-
 ვთიერნი ღონისძიებანი სპარსეთისა ივენუნ
 დიდ ძალნი, თითქმის დაუღუველნი. მხო-
 ლოდღა საჭირო იყო იმათთვის გამოცდი-
 ლი გელი, რომ მოქმედებაში მოეყვანა და-
 უქმებულნი ძალანი და საკელმწიფოსათვის
 დაებრუნებინა ის მდგომარეობა, რომელ-
 შიაც იყო ზირველის დარბაზის დროს.
 ალექსანდრეს უბედურებისგამო და დიდის
 მისის დიდებისათვისვე იმ დროს სპარსე-
 თში იზოებოდა ასეთი გელი. სპარსეთის
 სამსახურში მეოფთ ბერძენთ სარდალი იყო
 მემნონი, როდოსიდამი კაცი ღენიის ნიჭი-
 ერებით, მაგრამ სწეობითუკი გარეყვნილი,
 თავისის სამშობლოს შეურაცხს მეოფელი,
 და სრული ერთგული სპარსეთისა. მემნო-
 ნი დარბაზისა და სპარსთ მთავრებსავით
 არა ბრბავდებოდა ამ მემუქარის განსაცდე-
 ლის გამო, რომელმაც წინა-დაუდო ღო-

რისძიება მის უკუქცევისათვის. შემონი ამ-
ბობდა--ჩვენ მინდვრად ალექსანდრეს ჰი-
რისპარ შებმა არ შეგვიძლიან; მაგრამ, ჩვენა
გვაქვს ფული და სამხედრო-სომალდნი;
ალექსანდრეს უგანა-კერძოთ შევადგინოთ ბე-
რძენთ მოჯამაგირეთაგან ლაშქარი და ბრ-
ძოლა გადავიტანოთ ჩვენ მაკედონიის მა-
მულზედ. საბერძნეთი წინა ვერ აღუდგება
ორ გვარსა ცოუნებასა ვერცხლის მოვვა-
რეობისას და თავისუფლებისასო შემონის
აზრს ეთანხმებოდნენ მრავალნი ბერძენნი,
მეოფნი სპარსეთის სამსახურში არა მხო-
ლოდ ანგარებისა ანუ პატრიარს მოვარეო-
ბის მიწყებებით. ათინის უკუთმლობილებსნი
მოქალაქენი იმ დროს დართოსის ურდოში
იმყოფებოდნენ და თავიანთი შემამულეთ ჰირი-
სპირ საომრად ემხადებოდნენ. იმათ ესმოდათ,
რომ ეს ბრძოლა გადასწყვეტდა თავიანთის
სამშობლოს განთავისუფლების კითხვასა.
სპარსეთის დამპყრობელისათვის, დიასადე ძნე-
ლი აღარ იქნებოდა ათინისა და სპარტის
მორევნა. რომელთაჲ იქ მეოფთ ბერძენთ

განთქმული სასელები ჰქონდათ და იუენენ
 უოველსავე საქმეში ღირსნი შეკამათენი
 ალექსანდრესნი. იმათ შორის იუენენ ეჭი-
 ლტი და ლე-სტენი. შემდგომი გამოჩენი-
 ლი სარდალი ლაშის ბრძოლისა. აქედამა
 ჰსჩანს თავის მოპირდაპირეთ ვარეწრობა-
 ზედ ანგარიშები გაუმტეუნდნენ ალექსანდ-
 რეს. იმას აზიადი მიელოდნენ არათუ მა-
 რტო გაუწეობელი მოგროვილი ჯარი სა-
 ტრანათა, არამედ, იმათთანავე ერთად გამო-
 ცდილნი საბერძნეთის მსედარნი დამორჩი-
 ლებულნი წარჩინებულთა უზროსთადმი. ჰე-
 მონის აზრი რიგიანად იყო მოუიქრებუ-
 ლი და აღსრულებაცა მისი მინდობილი
 საიმედოთ კაცთადმი. ალექსანდრეს თანა
 ჰქვანდა ორმოცი ათას კაცზედ ნაკლები,
 მაგრამ გასაოცარი იყო იმისი ჯარის შე-
 დგენილობა. ის შეიცავდა, როგორათაც
 შემოთვე მოგასსენეთ, სულ სსჭა და სსჭა
 გვარს მსედრობასა. იმასთანვე იყო შედგე-
 ნილი ლენეჩალნი-მტაბიც (სამსჯავრო სა-
 მსედროთა საქმეთა,) განუოჟილი ორს ნა-

წილად, რომელთაგანაცა ერთი საქმობდა განსაკუთრებით ჰლანებისა და კარტების შერდგენასა, მეორესკი მინდობილი ჰქონდა საინჟინერო საქმეები. ჩუწსს არტილერიის შეუთანასწორებოდნენ კედლის სანგრევი და სხუა იარაღნი, რომელთ ვრცელის აღწერიდამაც შეიძლება გაიგოს კაცმა როგორს მალას მდგომარებასკედ ეოფილა იმ დროსაც მათემატიკის ჰსწავლა. ფულის ღონისძიება მაკედონის მეფისა იმის განმტახვაებთან დიას შეუთანასწორებლად ნაკლები იყო. ვალაშქრების დროს იმას ათიათასს თუმანსკედ მეტი აღარ დარჩომოდა, მაგრამ ალექსანდრემ იცოდა ეს, რომ თითონ ჯარისანობავე გამოსრდიდა ლაშქარს და არა სწუნავდა შემდგომთა ხარჯთათუს.

როდესაც მაკედონის ლაშქარი მცირე ასიაში გავიდა, მაშინ მემნონის ჰლანი ჯერ აღსრულებაში არ იყო მოყვანილი სპარსეთის მმართველობისაგან და იმისათუს შეიძლო ალექსანდრემ სპარსთ დიდად დამარცხება გრანიკის სიასლო-

ეს. სსუას სარდალს, რასაკვრეელია, წინ წაიტეუებდა ახალი, ოდნავ მოპოებული გამარჯვება, მაგრამ ალექსანდრე ცთუნებას არ მიჰყუა. ნაცვლად მისსა რომ უკან გაჭკიდებოდა დამარცხებულს მტერს, ალექსანდრე დაბრუნდა და მოეღი თავის ძალა და უურადლება მიაქცია ზღვს-პირის ქალაქებსედ. იმასა სურდა მოესხლიტა სპარსეთის სამხედრო სომადღნი ნავთ საუუდელებიდამ, რომელშიაც ჭპოებდნენ სპარსნი თავის შესაფარებს და ვოველსავე სამზადისს. ქალაქები ერთი-ერთმანერთხედ ემორჩილებოდნენ; ეველსხედ მტკიცედ იდგა გალიკარნასი, რომელსაც ჭსცვდა ათინელი ელიალტი. მოკლეს რა ელიალტი გალიკარნასმაკარბი გაულო ძლევა შემოსიდას. მაკედონელი ესრეთის ჭსწრაფის გამარჯვებისა მცირე-ახიაში მართო თავიანთის საჭურველისა და სიმხნისაგან არ იევენენ დავალებულნი. ალექსანდრე მივიდა იქ, არა თუ როგორც მტერი ან უცხო თესლი, არამედ როგორც გამომსხელი უცხო ტომთ უღლიდამ. ბრ-

ძოლის დაწეობის წინ ალექსანდრემ გადა-
 უსადა, ძველის ტროადის ნანგრევის მახ-
 ლობლად ჩინებული ალაპი ასილესს და
 ჰატროკილს, თავის წინა მოადგილეთ, გა-
 უთავებელს დასავლეთის აღმოსავლეთთან
 განსეთქილებაში, და ამ გვარათ დააკავშირა
 თავისი შემართება საბერძნეთის ქუჭუნის
 ეპოპეულთ მოთხრობაებთან. სპარსეთის ქვე-
 შევრდომთ, მცირის-აზიის ქალაქებთ აღუ-
 თქუა ალექსანდრემ საზოლექტიკო დამოუ-
 კიდებლობა, თვთეულის სალხის დქერთთა,
 რომელთა ადგილზედაც უნდა გაეკლოთ
 ძლევა შემოსილთ მაკედონელთა, ალექსან-
 დრე შესწირავდა მსხვერპლთა და თაევანის
 ცემათა. ერთის სიტუჯთ, გამოუწოდა, დიდ-
 ხნის გადაჩეუულთა, უცხო თესლთაგან თი-
 თქმის დაკარგულთა, იმედთა დამოუკიდებე-
 ლად ცხოვრებისადმი. საკუთრად ალექსა-
 ნდრემ მიიზიდა მრავალნი გულნი იმ ად-
 გილობრივთ სასულიერო საწმუნოებათ
 ჰატივისცემითა, რომელთაც სპარსნი ზიზ-
 ღით უეურებდნენ.

ბრძოლა ისსის მახლობლად უფრო თავ გამოდებით იყო ვიდრე გრანიკისა. სპარსეთის მეფე იძულებული ივლტოდა ბრძოლის მინდჭრილამ. დაუტევა ჭაბუკსა დამმარცხებელსა თავისი სიმდიდრე და სახლობაცა. სპარსთ უბედურების ზედ დასართავად, იმდროს შემონიცი გარდაიცვალა. ალექსანდრე მაინც თავის ასწრედ ძტვიცვდ იყო დაძვარებული, ის ვერ აცთუნა დარიოსის სატასტო ქალაქთ წინდაწინვე ალების შემდეგბამ; იმან შეუარა სირიის ნაპირებს, განაგრძელა დაჭერა ქალაქებისა. მხოლოდ ტვიროსიდა გაუმაგრდა; შუდ თვეს გასწია იმისმა გარშემოდგომამ, რომელსედაც გამოლეულიეშენ ეოველნი ღონისძიებანი უწინდელთ სამხედროს ჭსწავლისანი. ტვიროსის შემუსვრით დასრულდა განსაცდელი, შემუქარე ალექსანდრესი: სპარსეთის ფლოტი (*) აღარ არსებობდა. ჭინიკიელებმა თავიანთი გააცალეს; დანარჩენთ სპარსეთის სომადღთ მნიშვნელობა აღარა ჭქონდათრ

(*) სამხედრო სომადღი.

აი ამ გვარათ სმედიდაბეე მოსხრო ალექსანდრემ სპარსეთის ძლოტი და ჰლანი მემონისა.

მეგვიანტის დაწერობაკი უფრო საადჯლოდ ჰსჩანდა ალექსანდრესთვის. აქ ჯერეთ ცხოვლად ახსოვდათ სიხსლის ძღვერელობითი ზედა-დასსმა არტაქსერქის-ოხისა. სრულად და ღრმად ჰქონდათ შთანერგილი სპარსთ სიძულვილი. ალექსანდრემ არ შეურაცხყო სახალხო წმინდანი და ჩვეულებანი მეგვიანტელთა. იმან თაუვანისცა აჩისსა, ჰატივისცემით ესაუბრა ჟრეცებს (კერზოა ქურუმთა) და დაუეენა გაცალკავებულთა სამთავროთა შთავარნი მეგვიანტელნივე; მსოლოდ სამხედრო და სახაზინო გამეობა მხარის მიანდო ბერმენტ და მაკედონელთა. ნილო-სის დელტიდამ დასავლეთზედ ალექსანდრემ გამოიცნო და გამოარჩია მრთელი--საქუნენო--საისტორიო ადგილი, რომელზედაც აღაშენა ალექსანდრია. თუნდა რომ ამისმეტიც არა შეესრულებინოსრა იმას, ეს საქმეც საკმაო იყო იმისთვის, რომ დამკვდ-

რებოდა წოდება დიდისა, რადგანაც მარ-
თლა, ალექსანდრია შეიქნა მრავალთ საუ-
კუნების განმავლობაში, არა მხოლოდ მრთე-
ლის ქუჩების სავაჭროს დასაწყობს ადგი-
ლათ, არამედ მრთელის სმელეთის განათ-
ლების საუნჯეთაც. აქ შესჭდნენ ერთმანე-
თს, ხანგრძლივის საუკუნო საუბრისთვის,
დასავლეთისა და აღმოსავლეთის იდეები.

(ზოგი შემდგომ ნუმერში იქნება.)

პირველი ოქროს ზოგნა კალიტორნიაში.

ეოველმა კაცმა იცის, რომ პატივი ოქროს გამოჩენისა კალიტორნიაში ეკუთვნის საფრანკეთის ღვარდიის აფიცერს სუტტერს. შემდგომ ივლისის აღრეულებისა ის იმულებული შეიქმნა გაეძვა თავისი სამშობლო ქუჭქანა და დასახლებულიყო კალიტორნიაში. ამ აფიცერმა, დიდი ხანი არ არის, რაც გამოსცა მოკლე სახისკა იმაზედ, თუ რა რიგათ მოხდა პირველათ ოქროს გამოჩენა კალიტორნიაში. აი რა რიგათ იწუებს ის იმის აღწერას:

ივნისის თვეში ჩემს წელსა, მე მოვემსადე მიმეწერა წიგნი ერთის ჩემის ნათესავისათვის ლიუცერნში, და ამ დროს უცებ შემომესმა მე ფენის ხმა და ჩემი ჭაკტორი შემოვარდა ჩემს ოთახში. მე ძრეულ გაკვ-

რეგული ვიყავი იმის შემოსვლასედ, ამიტომ რომ ორის დღის წინეთ ის გამომეტონოვა და წავიდა თავის სის სასერხს წისკვილში და არ აპირებდა ის იქიღამ მალე დაბრუნებასა; განკუჭრება ჩემი გადავიდა განცვიფრებაში, როდესაც შევნიშნე, რომ ის იყო რიდისგანაც აღელვებული და აღშოთებული; ის იღვა გაშეშებული, იუწყებოდა აქეთ იქით და არ იღებდა სმასა.

იმისმა დიდხანს ჩუმათ ეოუნამ გამომიეჯანა მოთმინებისაკან და სმა მალლა შევსძასე: რა დავმართინა, სომ არ ვაკიყებულსარ მეოქი? მართლად ლამის ჭკეწაზედ შევიძალო, ისეთი ანბავი ვიცი, მითხრა მე იმან ბოლოს, და კიდევ მიისედ მოიხედა; ცდილობდა შეეტეო ეურს სომ არავინ უგდებდა ჩუჭნ ლაპარაკსა, და სოქეა ბოლოს თითქმის ჩუჩნულით: ურიცხვი საუნჯე! სროვა აქროსი!

საიღამ, სად, როგორ? შევსძასე მე კიდევ სმა მალლად.

ახა თუ გინდათ ახლა უთქვალავი ფული, მილიონი დოლარები, ერთის სიტყვით იმდენი ოქრო, რომ ამ შენს ოვასში არ დაეტიოს.

მე აღარ ვიუავი ვჭეში, რომ ჭაკტორი სწორედ ჭეჭესედ შემლილი იყო და ბოდში მოუსდელად გამოუსხდე მე ეს იმასა. მაშინ იმან გამალა კელი და დამიუაწა სტოლხედ ერთი მუჭა ოქროს ქვიძა.

მაშინ მე ვკრძნობდი ჩემ თავს ჭეჭესედ შემლილად; მე უეურებდი იმას, როგორც მისანსა. ბოლოს დამომძანდა ის როგორც იყო, მომიჯდა გვერდით და დაწუნარებით წვრილათ მიანბო ის სასიამოვნო გამოჩენა. აი როგორ იყო ეს საქმეო, მითხრა მე იმან!

მე დავდიოდდი იმ მდინარის წელის ჰირსა, რომელსედაც კეთდება ჩემა წისქვილი, და ამგვარად უკლებდი ეურს მუშაობასა, უცეფ შევნიძნე რომ რაღაც ბრწენავდა მიწაში, რამდენჯერმე მოვინდომე მივსულვიუავი ახლოს წელის ჰირსა და

გამეძინჯა ის ქუჩები, რომელნიც ისე ბრწვი-
ნავდნენ. მაგრამ მრცხვენოდა ამ ბავშუ-
რის გამოძიების მოუვარებისა. ბოლოს ერ-
თს იმისთანას ქუას წამოკვარი ფესი, ავიღე
კელში და დაუწეე სინჯუა კარკათ და
დავწმუნდი, რომ ის იუო ნატესი წმინდა
ოქროსი. იქიღამ მოეოლებული მოვავროვე
იმ გვარი ქუჩები, რომელიცკი ვიზოვნე მა-
შინ იმ წელის ჰირხედ. ვიფიქრე ისა,
რომ ეს ქუჩები არიან, უთოვოთ იმ საუ-
ნჯეთაგანნი, რომელნიც ოდესმე დაუმა-
ლაუთ აქ ინდოეულებსა რამდენისამე საუკუ-
ნეების წინ. მერე დაუწეე შინჯუა მიწას
და აღმოჩნდა, რომ სრულიად ის მიწა
შეიცავდა ბევრს ოქროსა. ამ გვართო გავი-
ვსე ჯიბეები იმ ქუჩებით თუ მიწით, შევ-
ჯექ ცხენსედ და აი ჭენებიო მოვედი შე-
ნთან და მოგიტანე ეს სასიამოვნო ანბავი.

მაშინ მე ვკითხე იმას, სომ არავინ
იცის სსუამაც ის ადგილი, და როდესაც
მე იმან მარწმუნა, რომ იმის მეტმა სსუამ
არავინ არ იცოდა ის ადგილი, მე იმავე

წამში შევხვე ცხენსედ, წავიყვანე ჭაკტორი და წავედი წისქვილში. ჩუტნ მივედი, იქ დაღამების დროს, მაშინვე დაუწიეთ ჩუტნის ჯიბის დანებით თხრა მიწასა და მოვაგროვეთ იმდენი ოქრო, რომ ორნივე ვიუავით განცვიფრებულნი და გვეჩუტნებოდა ეს სიზმრათ. აღელვებულნი სისხრულით, დატვრთულნი, ჩუმათ წავედით ჩუტნ წისქვილისაკენ და იმდროს უცეუ შევეყარეთ გზაში ორს მუშას, რომელნიც მაღლის ხმით ვვიროდნენ, ოქრო, რამდენი ოქრო! შემდგომში შევიტყეთ, რომ ერთს იმათგანს ეკდო ჩუტნთვს უური იმ ღამის მუშაობაში და თითონაც ბევრი ეშოვნა ოქრო, და ეთქვა ეს ანბავი თავის ამხანაგებისათვის და სისხრულით ველარ დაეცვათ ეს ანბავი საიდუმლოთ. თუძვა მე ვთხოვე იმათ, რომ დაეცუათ ეს საიდუმლო, მაგრამ მეორეს დღეს ეს ანბავი იცოდა ასმა კაცმა, და ოთხის კვირის განმავლობაში იმ ადგილ-

ზედ იდგა ოთხი ათასი მუშა და აკროვე-
ბდა ოქროს.

ჩუჭუნ აქ უნდა მოვიუქანოთ ორი მა-
გალითი მას ზედა, თუ ვითარე მოქმედება,
ანუ გავლენა, ჰქონდა შემდგომში ოქროს
პოვნასა კალიფორნიის მცხოვრებთ ზნეზედ.
სანფრანცისკოს ქალაქში მოკუდა ერთი
ოქროს მუშა, და რადგანაც ის იყო ევე-
ლასაგან ჰატივცემული, მოინდომეს იმისი
დამარხება მდიდრულათ. აღსასრულებლად
დამარხვის წესისა მოიწვიეს მესობელი
ოქროს მუშა რომელიც ოდესმე ეოფილიუო
გამოჩენილის ჰასტორი და მქადაგებელი
შეერთებული ამერიკის შტატებში. შემდგომ
ანდერძის აგებისა, წაიღეს მიცვალებული
სასაფლაოზედ, რომელიც იყო ას ნაბიჯ-
ზედ. ანდერძის ამგები მოჭეუა ქადაგებასა,
რომელსაც ხალხი ისმენდა ჯერ დიდის
ეურადლებით; მაგრამ რადგან ის ქადაგება
აღმოჩნდა ერთობ გრძელი და მოსაწეენი,

ბეგნი იმათგანნი, გამოსულნი მოთმინები-
საგან, დასდგენს გარეშემო კუბოსა მუხლზედ
და დაუწევს შინჯუა სრესა კელით
იმ მიწას, რომელიც იყო საფლავიადამ ამ-
ოფრილი. იმ მიწაში აღმოჩნდა მრავალი
ოქრო, და შეიქნა რაღაც მღელვარება ქა-
დაგების მსმენელებში. მქადაგებელმა შენიშნა
ესე, განწევრიტა ქადაგება და ჰკითხავს,
შჯლო რა ანბავია, რა არის ევა, მკონია
ოქროა, განა ოქროა შჯლებო? ოქროა,
ოქრო შესძახეს იმას ერთ სმათ და იმავე
წამს ამოიღეს რამდენისამე წამის წინ იქ
ჩადებული კუბო და ჩასდგეს სსჟას ადგი-
ლს უცეფ ამოთხრილს საფლავში, და ის
ადგილი ზასტორის კელთმძღუნელობას
ქჟებმ დარჩა. შეუდგა იმავე წამს ოქროს ხარბი
ხალსი და ამოჰქონდათ უხვათ ოქრო ამ
ასლის მადნისაგან.

აი მეორე მავალითიც: ერთი მატროსი
(სომალდის სალდათი) წავიდა მადნებში, და

ერთის წლის შემდგომ დაბრუნდა და მოვიდა საკრამენტოში ორის ოქროს ქვიპით აკიდებულის ჯორით და იმან არ იცოდა რა ექნა, ან როგორ მოესმარა ის ოქრო. უოველს კაცს, ვისაცკი შემოეყრებოდა, ჭხატიყობდა ჩინებულს საუსმესედ, მაგრამ ეს ეჩუწნებოდა იმას ცოტათ, მაშინ იმან ივიდა ერთს დროს ექუსი ძვრფასი ოქროს საათი, თითო დოლარათ, მერე აიღო დიდი ქუაბი, გაავსო ის ღოწის ქონით, გაიტანა ზირველს საკრამენტის ქუჭბში, შეუკეთა ქუჭმ დიდი ცეცხლი, მერე დაამტურია წვრილათ ის საათები და ჩაუარა ადულებულს ღოწის ქონში, რამდენიმე ათასი კაცი იდგა გარემო ქუაბისა, იცინოდა და არ უკვრდაკი ეს უგუნური ქცევა მატროსისა, ამიტომ რომ ისივე ხალხი არა ერთ გზის ეოფილა მოწამე მრავალჯერ ამ გვარის უგუნურებისა კალიფორნიის მცხოვრებთ შორის.

სსრს და სსრს ანბავი.

—ტფილისში 18 თებერვალს გათავდა კენჭით ამოწმ
ჩვეს სსრს და სსრს ანბავში მოთანამდებავთ ჰიწებისა,
19 თებერვალს, კელმწიფის ტახტზედ ასვლის დღეს, სიხ
ანის სობორში ლიტურგიის და ჰარავლისის შემდეგამს
ანბავთ ადმორჩიულთა დაიფიცეს თავიანთ თანამდებავ
ბის მტვიცვედ აღსრულეზავედ, შემდეგამს გაემართნენ
სასახლისაკენ, სადაცა წარუდგინა ეს აღჩიულნი ჰიწნი
სამოქალაქო გუბერნატორმა მისს იმჰერატორებიითის
უმადლესობას, რომელმანცა წარმოთქვა რამდენიმე სიხ
ტუჩა:

«მომილოცავს კენჭით ადმორჩივის გათავება. ანბავს
დღეს დროში, რომდესაც რომ უნდა გადაწეღეს ამ მხს
რეზედ ანბავის ტორების კითხვა, კეთილშობილთ წარმო
მადგენელთ მოვალეობა აწის უფრო უმთავრესი; იმედი
მაქვს თქვენგან, როგორც აქამდინ, ისე დღეის შემდეგ
შემწეობას მისცემთ მთავრობასა ამ განზრახვს შესრულ
ლებისათვის. ხალხ ჩემის მხრით, განვიმეორებ იმასაკვე,
რაც კითხვით ჰიწველს ჩვენის ერთათ შეერის დროს:

ყოველი ჩემი სურვილი აწის, რომ ყველანი იყვნენ ბედნიერნი; გადაეცით კეთილშობილთ, რომ მე ვსრუნავ ყოველათაჲს, დიდითგან მოკიდებული თვთ ზატარამდინ, ჩემს გულთან ახლდა კეთილმდგომარეობა კეთილშობილთა, რომელნიცა უნდა მიგულებდნენ მე რომოცაღ შუამდგომელს კელმწიფის იმპერატორის წინ »—

ამ სიტყვებით აღტაცებაში მოსულნი, აღმოჩნეულნი ზიზნი გამოეთხოვნენ მის უმაღლესობას.

—გენგით აღმოჩნევასედ მივიღეთ მოლაუბისაგან ვრცლად აღწერა, მაგრამ ვერა ვბეჭდავთ, რადგანც ზოგიერთ ზიზთ შეეხება. იმედი მაქვს მოლაუბე არ მიიღებს სწაყენათ, რადგანც ჟურნალის გნება, არა ვგონებთ სისიას მოკნო იყოს მოლაუბისათჲს.—

1864 წლის «ცისკარზედ გელის მომწერთა».

ტფილისში.

111 დარისზან გამზარაძე

თ. კვბენ ბეზუთაგი

კნ. ელენა გრუზინსკისა

ალექსანდრა სარაჯოვისა

ზაქარია სარაჯოვი

მიხეილ ყაზიბეგი

თ. დიმიტრი აბხაზოვი

იოსებ შამატოვი

პეტრე უმიკოვი

120 თ. გიორგი ბარათოვი

თ. დავით მანაბელი

კნიაჟნა ქეთევან გურგენიძისა

თ. ალექსანდრე ონიკოვი

ქუთაისში.

თ. აღმასხან ნიჭარაძე

თ. კოსტანტინე ტულუგოძე

თ. ნიკო ჯიჯიაძე

თ. აბესალომ მანაბელი

ელისაბედ ჩხეიძისა

სუმონ ჩაჩკვიანი

130 სეკის ზატაძემე
ჰეტრე იოსელიანი
ლეკან დღღობემე
თ. ვანტანგ გუგამოვი
თ. კირილე თუმანოვი
იაკობ ნიკოლაძემე
თელავში.

თ. იოსებ ჯორჯაძემე
სუმონ მეღვინეთხუტესოვი
სიღნაღში.

თ. სოლომონ ანდრონიკოვი

თ. ილია ანდრონიკოვი

კლადიკავკასში.

ივანე სომხიევი

ზუგდიდში.

141 თ, რათიელ კრისიანოვი

სსჭა და სსჭა ანბავი:

- 1.—კენჭის დასრულება ტფილისში.—2 რედაქციისაგან.
—3. სია 1864 წელს, რომელიც იხარებს «ცისკარს».

1 8 6 4 წლის

«ცისკარის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გას
შვსავნულად 6 მან. დამატებით.
7 მან.

სსჭა ქვეყნებში გაგზავნით, და
შვსავნულივ 7 მან. დამატებით.
8 მან.

რედაქცია იმუთუება გუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში,
ქ. ტფილისს.

ვისაც უურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უ-
მარჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:
«ცისკარის» რედაქციაში ტფილისს.